I

ტესტი ისტორიაში

2013

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

პირველი ტიპის დავალებაში თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

სხვა ტიპის დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!) და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2,5 საათი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელ სახელმწიფოსთან ბრძოლაში განადგურდა დიაოხი?

ა. ასურეთის

ბ. ხეთების

გ. ურარტუს

დ. სპარსეთის

2. ვის ეკუთვნის ცნობა სპარსეთის სამეფოს სატრაპიებად დაყოფის შესახებ?

ა. აპიანეს

ბ. თუკიდიდეს

გ. სტრაბონს

დ. ჰეროდოტეს

3. რომელი სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია იყო ზოროასტრიზმი?

ა. სასანიანთა ირანის

ბ. აბასიანთა სახალიფოს

გ. პტოლემაიოსების ეგვიპტის

დ. პონტოს სამეფოს

4. რომელი რომაელი ისტორიკოსი აღწერს პომპეუსის ლაშქრობას ქართლის სამეფოში?

ა. პოლიბიოსი

ბ. ჰეროდოტე

გ. დიონ კასიუსი

დ. ქსენოფონტე

5. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გაუადვილა ირანელებს ქართლში მეფობის გაუქმება VI საუკუნეში?

ა. მეფე დაჩის უმემკვიდროდ გარდაცვალებამ

ბ. მოკავშირე ბიზანტიელების მარცხმა არაბებთან ბრძოლაში

გ. მთავარეპისკოპოსად მონოფიზიტი სასულიერო პირის არჩევამ

დ. დიდაზნაურების ანუ ერისთავების ერთი ნაწილის მხარდაჭერამ

6. რომელი ერისმთავრის დროს აიგო მცხეთის ჯვრის ტაძარი?

ა. გუარამის

ბ. სტეფანოზის

გ. ნერსეს

დ. ჯუანშერის

7. ვის ეხმარებოდა ლიპარიტ ბაღვაში სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში?

ა. არაბებს

ბ. ჯვაროსნებს

გ. ბიზანტიელებს

დ. მონღოლებს

8. რაზე მიუთითებდა გიორგი II-ის მიერ ხარკის გადახდის ვალდებულების აღება?

ა. სელჩუკებთან ბრძოლაში მარცხის აღიარებაზე

ბ. ჯვაროსნების მოკავშირეობაზე უარის თქმაზე

გ. თბილისის გათავისუფლების გეგმის ჩაშლაზე

დ. კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის ბრძოლის დასასრულზე

9. რამ განაპირობა, რომ XII საუკუნის ბოლოს საქართველოს მეფე გადაწყვეტილებებს დარბაზთან თათბირის შემდეგ იღებდა?

ა. ევროპელ ჰუმანისტთა იდეების საქართველოში გავრცელებამ

ბ. ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა გამოსვლამ

გ. აღმოსავლეთის ქვეყნებში რეფორმაციის ეპოქის დაწყებამ

დ. წინა აზიაში საერთაშორისო ვითარების ცვლილებამ

10. ვინ გაამეფა ახლადდაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში საქართველოს სამეფო კარმა?

ა. ალექსი კომნენოსი

ბ. ბარდა ფოკა

გ. ისააკ ანგელოსი

დ. მიხეილ დუკა

11. რომელ სახელმწიფოში გამოცხადდა ისლამი სახელმწიფო რელიგიად XIII საუკუნის ბოლოს?

ა. ეგვიპტის სასულთნოში

ბ. ილხანთა საყაენოში

გ. სელჩუკთა სასულთნოში

დ. ხორეზმის სამეფოში

12. რომის პაპ გრიგოლ IX-ის წერილის თანახმად, რა იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ „რომის ეკლესიის მხედრობა“ ვერ დაეხმარებოდა საქართველოს?

ა. ტერიტორიული სიშორე

ბ. სარწმუნოებრივი განსხვავება

გ. ოსმალთა სიძლიერე

დ. ევროპაში მიმდინარე ომები

13. რაზე მიუთითებდა გიორგი V-ის დროს ეგვიპტის სულთნის მიერ ქართველებისათვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და „იერუსალიმის კლიტეთა“ გადაცემა?

ა. ქართველთა მონაწილეობით შემდგარი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებაზე

ბ. ოცდაათწლიანი ომის შემდეგ ეგვიპტესთან ზავის დადებაზე

გ. ეგვიპტეში ქართველი მამელუქების მიერ გავლენის მოპოვებაზე

დ. საქართველოს ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდაზე

14. ვინ გახდა ინგლისის ეკლესიის მეთაური მას შემდეგ, რაც ის რომის პაპის დაქვემდებარებიდან გამოვიდა?

ა. ინგლისის მეფე

ბ. კენტერბერიის არქიეპისკოპოსი

გ. ლონდონის კარდინალი

დ. ლორდ-კანცლერი

15. რატომ აღმოჩნდებოდა მძიმე მდგომარეობაში ინგლისის მრეწველობა კონტინენტური ბლოკადის განხორციელების შემთხვევაში?

ა. ჩაიკეტებოდა გასაღების უმთავრესი და უდიდესი ბაზარი

ბ. ვეღარ შეიტანდა საჭირო ნედლეულს კოლონიებიდან

გ. ვერ შეძლებდა კოლონიებში იაფი მუშახელის დაქირავებას

დ. დაკარგავდა ფლოტს და პროდუქციის გადაზიდვის შესაძლებლობას

16. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მუსლიმი მესხების ოსმალეთში გადასახლება?

ა. ბერლინის ტრაქტატის პირობებმა

ბ. რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ

გ. სოციალისტური წყობის დამყარებამ

დ. რუსეთის საპატრიარქოს მკაცრმა პოზიციამ

17. რამ განაპირობა სოლომონ II-ის უცხოეთში გახიზვნა?

ა. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გლეხთა აჯანყებამ

ბ. შინაომში მოწინააღმდეგე უფლისწულის გამარჯვებამ

გ. ოსმალთა მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობამ

დ. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილმა მარცხმა

18. რა მოჰყვა შედეგად ბოროდინოს ბრძოლას?

ა. ნაპოლეონის არმიამ რუსების მიერ დატოვებული ქალაქი მოსკოვი დაიკავა

ბ. რუსებმა შეძლეს ფრანგების წინსვლის შეჩერება და დაიწყო პოზიციური ბრძოლები

გ. ალექსანდრე I დათანხმდა ტილზიტის ზავის პირობებს და ომი შეწყდა

დ. ფრანგებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს რუსეთის საექსპედიციო კორპუსი

19. რა განსხვავებული კოლონიური პოლიტიკის გატარება დაიწყო მიხეილ ვორონცოვმა?

ა. მკაცრი და ხისტი პოლიტიკის ნაცვლად, ის ცალკეული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებით, ქართული საზოგადოების გულის მოგებას შეეცადა

ბ. მკაცრი და ხისტი პოლიტიკა შეიცვალა აქტიური დემოგრაფიული ექსპანსიით და საქართველოში გააქტიურდა სექტანტი კაზაკების ჩამოსახლება

გ. მანამდე არსებული შედარებით ლიბერალური და მოქნილი პოლიტიკა შეიცვალა აგრესიული, ხისტი და მკაცრი პოლიტიკით

დ. ლიბერალური პოლიტიკის ნაცვლად აქტიურად დაიწყო სამხედრო დასახლებების შექმნა, სექტანტი დუხაბორების ჩამოსახლება და ბაგრატიონთა გასახლება

20. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა საფრანგეთში მესამე რესპუბლიკის გამოცხადება?

ა. ნაპოლეონ III-ის გარდაცვალებამ

ბ. საფრანგეთის მარცხმა პრუსიასთან

გ. გენერალური შტატების მოწვევამ

დ. გენერალ კავენიაკის დიქტატურის დამხობამ

21. აშშ-ს სამოქალაქო ომის დაწყებისას რა განაპირობებდა ჩრდილოეთის შტატების უპირატესობას მოწინააღმდეგესთან შედარებით?

ა. მოსახლეობის რაოდენობა და განვითარებული მრეწველობის არსებობა

ბ. მრეწველობაში დასაქმებული მონების შედარებით მცირე რაოდენობა და უკეთესი შეიარაღება

გ. გამოცდილი სამხედრო კადრების არსებობა და ინგლისის მოკავშირეობა

დ. ნავთობის საბადოების სიმრავლე და მოსახლეობის რაოდენობა

22. რას გულისხმობდა 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის შეთანხმება?

ა. რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველო ახდენდა კომპარტიის ლეგალიზებას

ბ. რუსეთი უარს ამბობდა საქართველოს ოკუპაციაზე, საქართველო თმობდა სოჭისა და ზაქათალის ოლქებს

გ. საქართველო აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ მმართველობებს, რუსეთი წყვეტდა საომარ მოქმედებებს

დ. საქართველო იღებდა ვალდებულებას საკუთარი ტერიტორიიდან გაეყვანა გერმანიის ჯარები, რუსეთი აუქმებდა ბრესტის ზავის პირობებს

23. რა იყო სსრკ-ში „პერესტროიკის“ კურსის დაწყების ძირითადი მიზეზი?

ა. სახელმწიფოს მძიმე კრიზისიდან გამოსაყვანად ახალი გზის ძიება

ბ. მრეწველობაში რეფორმების გზით აშშ-ს ეკონომიკის დაწევა

გ. მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება

დ. დისიდენტური მოძრაობის ზეწოლით რეფორმების წამოწყება

24. რა ეწოდება საზოგადოების უმრავლესობის შეთანხმებით შექმნილ ორგანიზაციას, რომელმაც უნდა შეასრულოს საზოგადოებრივი დაკვეთა - გადაწყვიტოს პრობლემები, რომელთა მოგვარება საერთო ძალისხმევას მოითხოვს?

ა. კანონიერება

ბ. სამართალი

გ. მოქალაქეობა

დ. სახელმწიფო

25. მართებულია თუ არა მსჯელობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ?

I. ადამიანს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს თანდაყოლილი უფლებები.

II. თავისუფლება ნიშნავს თვითნებობას, რადგან ადამიანს შეუძლია იმოქმედოს ნების შესაბამისად.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. არცერთი

დ. ორივე

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი მსოფლიოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. სელევკიდების სახელმწიფოს წარმოქმნა
2. ბერძნული კოლონიზაციის დაწყება
3. მაკედონელთა ლაშქრობა აზიაში

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მომხდარი მოვლენები:

1. ქართლის მეფის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში
2. ქართლის სამეფოსთვის კლარჯეთის შეერთება
3. პეტრეს კურთხევა ქართლის კათალიკოსად

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი მოვლენები:

1. აღა–მაჰმად ხანის შემოსევა
2. შაჰ აბასის შემოსევები
3. შაჰ თამაზის შემოსევები

29. ქრონოლოგიურად დაალაგეთ დიქტატორი მმართველები მათი ხელისუფლებაში მოსვლის დროის მიხედვით:

1. ჰიტლერი
2. ფრანკო
3. მუსოლინი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები. იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი შესწორებული ვარიანტი. **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.** დავალებების მაქსიმალური ქულაა 26.

(10) 30. რომი და საქართველო

რომაელთა ჯარი საქართველოში პირველად ძვ.წ. II საუკუნეში შემოიჭრა. მას კრასუსი მეთაურობდა. იმ დროს ქართლში საურმაგი მეფობდა. ის თავიდანვე შეეცადა რომაელებთან დაზავებას, მაგრამ უშედეგოდ. მძიმე ბრძოლები საბოლოოდ რომაელთა გამარჯვებით დასრულდა. ქართლის მეფემ საჩუქრები და მძევლები გაიღო და რომის მორჩილება აღიარა.

შემდგომ საუკუნეებში ვითარება შეიცვალა. მოძლიერებულ ქართლის სამეფოსა და რომს შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამის ნათელი დასტურია მცხეთასთან აღმოჩენილი ლათინური წარწერა. ეს წარწერა შესრულებულია იმპერატორ ავრელიუსის სახელით, რომელიც ქართლის მეფეს თავის მეგობრად მოიხსენიებს.

(16) 31. არაბული დაპყრობები

VII საუკუნის დასაწყისში არაბეთში ახალ რელიგიურ მოძღვრებას – მაზდეანობას ჩაეყარა საფუძველი. ახალი რელიგია სწრაფად გავრცელდა არაბთა შორის. მუჰამედმა მთავარი რელიგიური სიწმინდის, ქააბის თაყვანისცემა დააწესა, რომელიც ქალაქ დამასკოში მდებარეობდა. მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა ახალი სახელმწიფო – არაბთა სასულთნო. მალე არაბმა მმართველებმა დაპყრობითი ომები წამოიწყეს, რომლის დროსაც ახალ სარწმუნოებასაც ავრცელებდნენ. მათი სახელმწიფო აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის და ევროპის ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. ევროპაში მათ თითქმის მთლიანად დაიპყრეს იტალია. დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებთაგან ის, ვინც არაბთა რელიგიას აღიარებდა, აღარ გადაიხდიდა ხარაჯას.

საქართველოში არაბი დამპყრობლები პირველად VIII საუკუნის 50-იან წლებში მოვიდნენ. ქართლის მეფემ არაბთა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და მასთან ზავი დადო. შემდგომში პოლიტიკური ვითარება უფრო გართულდა. საქართველოში მურვან-ყრუს ლაშქრობის შემდეგ არაბებმა ქვეყნის მართვა მათ მიერ დანიშნულ დიდმოხელეს – მარზპანს ჩააბარეს.

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოცემული კარიკატურა. კარიკატურაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

32.



<u>კითხვები:</u>

(1) 32.1. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციაა გაკრიტიკებული კარიკატურაზე?

(2) 32.2. რომელი სახელმწიფოა გაშარჟებული კარიკატურის მიხედვით და რატომ?

(1) 32.3. ჩვეულებრივ, რომელ სახელმწიფოში იქმნებოდა მსგავსი სახის კარიკატურები ყველაზე მეტად და ყველაზე ხშირად?

(1) 32.4. რა ეწოდება საერთაშორისო ურთიერთობების იმ პერიოდს, რომელსაც ზემოთ მოტანილი კარიკატურა ასახავს?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 10.

33. ნაწყვეტი სტეფანე ბლუას წერილიდან

გრაფი სტეფანე გრაფინია ადელის, ძვირფას მეუღლეს, უსურვებს ყოველივე საუკეთესოს.

გატყობინებ, ძვირფასო, რომ მე ვცადე კონსტანტინოპოლიდან მომეწერა ჩემი ყოფა-ცხოვრებისა და თავგადასავლების შესახებ; მაგრამ ვშიშობ, რომ ჩემს შიკრიკს რაიმე საფრთხე შეემთხვა და ამიტომ ხელმეორედ გწერ ყოველივეს. ღვთის წყალობით კონსტანტინოპოლში დიდი სიხარულით ჩავედი. იმპერატორმა შვილის შესაფერი პატივით მიმიღო და გულუხვად დამასაჩუქრა. მინდა გითხრა, რომ ის მთელ ღვთის მხედრობაში არცერთ ჰერცოგს, გრაფს ან სხვა წარჩინებულ პირს არ ენდობა ჩემზე მეტად და არ გამოხატავს ამგვარ კეთილგანწყობას. დიახ, ძვირფასო, მისი საიმპერატორო უდიდებულესობა ხშირად მარწმუნებდა და ახლაც მარწმუნებს, ჩავაბაროთ აღსაზრდელად ჩვენ ვაჟთაგან ერთ-ერთი. იმპერატორი დამპირდა, რომ ისეთ პატივს მიაგებს ჩვენ ვაჟს, რომ ეს უკანასკნელი არასდროს ინანებს ჩვენს არჩევანს. იმპერატორთან გატარებული ათი დღის შემდეგ მე მას დავემშვიდობე.

ღვთის შეწევნით, ჩვენ გავემართეთ დიდებულ ქალაქ ნიკეასაკენ. ნიკეას, ჩემო ძვირფასო, გარშემორტყმული აქვს ოცდაათი კოშკი და საოცარი გალავანი. ქალაქის დამცველი თურქები ძალზე მამაცები არიან. ოთხი კვირის განმავლობაში ურიცხვი მეომარი ღვთის მხედრობიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული მათთან.

ჩვენი ღვთივდაცული მთავრები ხედავდნენ, რომ ნიკეას აღება ჩვეულებრივი იარაღით შეუძლებელი იყო და დაიწყეს ხის მაღალი საბრძოლო კოშკურების აგება. როგორც კი თურქებმა ეს მზადება შეამჩნიეს, შეშინებულებმა იმპერატორთან მაცნე გაგზავნეს შემდეგი წინადადებით: ქალაქს ჩააბარებდნენ იმპერატორს, მას კი თურქები ქალაქიდან უნდა გაეყვანა, თუნდაც გაძარცულები, თუნდაც ბორკილდადებულები, ოღონდ ცოცხლები. როგორ კი ეს ამბავი შეიტყო, იმპერატორი ჩვენთან ჩამოვიდა. ის ჩვენს სიახლოვეს, ერთ-ერთ კუნძულზე დაბანაკდა. ჩვენი მთავრები, ჩემსა და ტულუზის ჰერცოგის გარდა, ყველანი სასწრაფოდ ჩავიდნენ მასთან, რათა გაეზიარებინათ გამარჯვების სიხარული. იმპერატორმა ისინი დიდი სიამოვნებით მიიღო. იმ ფაქტმა, რომ მე ქალაქის სიახლოვეს ვრჩები ნიკეაზე ან ჩვენს ბანაკზე თურქთა თავდასხმის მოსაგერიებლად, ის

განსაკუთრებით გაახარა. იმპერატორმა ნადავლი ასე გაანაწილა: ყველაფერი ძვირფასი: ოქრო, ძვირფასი ქვები, ვერცხლი, სამოსი, ცხენები და სხვ. გაყვეს რაინდებს შორის; საკვები მისცეს ქვეითებს. ამასთან, იმპერატორმა საკუთარი საგანძურიდან დაასაჩუქრა მთავრები.

ამრიგად, 17 ივნისს, ღვთის შეწევნით, ნიკეა ჩაგვბარდა. დასასრულს, მინდა გითხრა, ძვირფასო, რომ თუ ანტიოქიასთან დიდხანს არ შეგვაყოვნეს, ხუთი კვირის შემდეგ იერუსალიმში ვიქნებით.

<u>კითხვები:</u>

(1) 33.1. რომელი სახელმწიფოს იმპერატორზე საუბრობს წერილის ავტორი?

(1) 33.2. წერილის მიხედვით, შვილის აღსაზრდელად შეთავაზების გარდა, დაასახელეთ ყველა ის ფაქტი, საიდანაც ჩანს იმპერატორის კეთილგანწყობა წერილის ავტორის მიმართ?

(1) 33.3. თქვენი აზრით, რატომ სურს იმპერატორს სტეფანე ბლუას შვილის საკუთარ კარზე აღზრდა?

(2) 33.4. წყაროს მიხედვით, რატომ გაუჭირდათ "ღვთის მხედრობის მეომრებს" ქალაქ ნიკეის აღება და რა ხერხს მიმართეს მთავრებმა ნიკეის ასაღებად?

(2) 33.5. წყაროს მიხედვით, რა პირობით დათანხმდნენ თურქები ნიკეის ჩაბარებას და თქვენი აზრით, რატომ მიმართეს თურქებმა დანებების თხოვნით სწორედ იმპერატორს?

(1) 33.6. თქვენი აზრით, რატომ დაასაჩუქრა იმპერატორმა მთავრები საკუთარი საგანძურიდან?

(1) 33.7. რა სახელითაა ცნობილი ის ისტორიული მოვლენა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ეპიზოდია ნიკეის აღება?

(1) 33.8. რომელი საუკუნის რომელი ნახევრის მოვლენებია აღწერილი წერილში?

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

34.



<u>კითხვები:</u>

(1) 34.1. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს საომარი მოქმედებები მოცემულ რუკაზე?

(1) 34.2. რუკის მიხედვით, რომელ წლებში მიმდინარეობდა აღნიშნული საომარი მოქმედებები?

(1) 34.3. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფომ განახორციელა სამხედრო აგრესია?

(1) 34.4. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფო დამარცხდა ამ ომში?

(1) 34.5. რუკის მიხედვით, რაში გამოიხატა აღნიშნული მარცხი?

(1) 34.6. რომელმა სახელმწიფოთაშორისმა ხელშეკრულებამ გაუხსნა გზა აღნიშნულ სამხედრო აგრესიას?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) 35. 1555 წელს აუგსბურგის რელიგიური ზავის დადების წინ კარლოს V-ის მომხრეთა შორის კამათი გაიმართა. ერთ-ერთი დიდებული ზავის დადების მომხრე იყო. მეორე კი, პირიქით, ზავის დადების წინააღმდეგ გამოდიოდა.

<u>დავალება:</u>

(1) 35.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც ზავის დადების მომხრე დიდებული თავის პოზიციას დაიცავდა.

(1) 35.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც ზავის დადების მოწინააღმდეგე დიდებული თავის პოზიციას დაიცავდა.

(2) 36. 1804 წელს ნაპოლეონმა იმპერატორად კურთხევა გადაწყვიტა. მან თანამებრძოლები შეკრიბა და რჩევა კითხა. ერთ-ერთი მარშალი ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევას მხარს უჭერდა. მეორე კი, პირიქით, ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევას ეწინააღმდეგებოდა.

<u>დავალება:</u>

(1) 36.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც იმპერატორად კურთხევის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

(1) 36.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც იმპერატორად კურთხევის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

სწორი პასუხები

1-29 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

1–გ
2–დ
3–ა
4–გ
5–დ
6–ბ
7–გ
8–ა
9–ბ
10– ა
11–ბ
12–ა
13–დ
14–ა
15–ა
16–ბ
17–დ
18–ა
19–ა
20–ბ
21–ა
22–ა
23–ა
24–დ
25–ა

26. 231
27. 123
28. 321
29. 312

30. სწორი წყვილი (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა და მისი გასწორებული ვარიანტი - 1ქულა) 2 ქულით ფასდება; სულ 10 ქულა

არის	**უნდა იყოს**
II	I
კრასუსი	პომპეუსი
საურმაგი	არტაგი
ლათინური	ბერძნული
ავრელიუსი	ვესპასიანე

31. სწორი წყვილი (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა და მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა) 2 ქულით ფასდება; სულ 16 ქულა

არის	**უნდა იყოს**
მაზდეანობა	ისლამი
დამასკო	მექა
სასულთნო	სახალიფო
იტალია	ესპანეთი
ხარაჯა	ჯიზია
VIII	VII
მეფე	ერისმთავარი
მარზპანი	ამირა

32. სულ 5 ქულა
32.1. ნატო (NATO) - 1 ქულა
32.2. აშშ (1 ქულა); ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1 ქულა); სულ 2 ქულა.
32.3. სსრკ-ში - 1 ქულა
32.4. ცივი ომი - 1 ქულა

33. სულ 10 ქულა
33.1. ბიზანტიის იმპერიის - 1 ქულა
33.2. შვილივით მიიღო, გულუხვად დაასაჩუქრა, განსაკუთრებულად ენდო - 1 ქულა
33.3. ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
33.4. ქალაქის კარგი გამაგრებისა და ქალაქის მამაცი დამცველების გამო (1 ქულა); დაიწყეს ხის მაღალი საბრძოლო კოშკურების აგება (1 ქულა); სულ 2 ქულა
33.5. სიცოცხლის შენარჩუნების პირობით (1 ქულა); ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1 ქულა); სულ 2 ქულა
33.6. ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა
33.7. ჯვაროსნული ლაშქრობების - 1 ქულა
33.8. XI საუკუნის II ნახევარში - 1 ქულა

34. სულ 6 ქულა
34.1. ფინეთის - 1 ქულა
34.2. 1939–1940 წლებში – 1 ქულა
34.3. სსრკ-მა - 1 ქულა
34.4. ფინეთი - 1 ქულა
34.5. დაკარგა ტერიტორიები - 1 ქულა
34.6. მოლოტოვ–რიბენტროპის // გერმანია-სსრკ-ის - 1 ქულა

35. სულ 2 ქულა
1. მომხრე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
2. მოწინააღმდეგე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
36. სულ 2 ქულა
1. მომხრე - ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
2. მოწინააღმდეგე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა